

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N 17

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

10.12.2020 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირან ტალახაძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, სანდრო ხურციძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კობა ტოხვაძე, კობა ძაგნიძე, დავით ხარძეიშვილი, ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტკარაძე, პაატა ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე, აპალონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი - კობა მაღლაკელიძე.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - ლუიზა ჯოგლიძე.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - ლუბა გოგოძე.

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-ივანე მამფორია.

ა(ა)იპ „ვანის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორი - გიგა ბუაძე.

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: ივანე მამფორია

2. ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების საპროგნოზო მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის მოსმენის თაობაზე;

მომხსენებელი: ივანე მამფორია

3. მუნიციპალიტეტში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების შესახებ ა(ა)იპ „ვანის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორის ინფორმაციის მოსმენის თაობაზე;

მომხსენებელი: გიგა ბუაძე

წარმოდგენილი პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -23

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ 2020 წლის ბიუჯეტში დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შემცირდა 937,0 ათასი

ლარით, 6700,2 ათასი ლარიდან 5763,2 ათას ლარამდე, ხოლო 63,0 ათასი ლარით შემცირდა ბიუჯეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი.

აღნიშნული საკომპენსაციოდ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ნოემბრის N2776 განკარგულებით „ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტებისათვის ფინანსური დახმარების გამოყოფის თაობაზე“, ვანის მუნიციპალიტეტს ფინანსური დახმარების სახით გამოეყო 1000,0 ათასი ლარი.

2020 წლის 9 იანვრის N27 განკარგულებით, საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხები შემცირდა 70,3 ათასი ლარით, 891,2 ათასი ლარიდან 820,9 ათას ლარამდე, სამუშაოების დასრულების შემდგომ ხელშეკრულებებში წარმოშობილი ეკონომიის თანხით.

ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია განმარტებით ბარათში, მნიშვნელოვანი ცვლილებებიდან აღსანიშნავია ახალი საბიუჯეტო პროგრამის „03 02 დასუფთავების ღონისძიებები“ დამატება, რის ფარგლებშიც დაგეგმილია სანაგვე კონტეინერების შესყიდვა, აღნიშნული მუხლი 54,0 ათასი ლარით დაფინანსდება.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

მომხრე – 23

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

(დადგენილება N 27)

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა ინფორმაცია ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების საპროგნოზო მაჩვენებლების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა: რაც შეეხება 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების მოსალოდნელ მაჩვენებლებს: შემოსულობები დაგეგმილია 15416,2 ათასი ლარით, უკვე მობილიზებულია 14530,2 ათასი ლარი, წლიური გეგმის 94,3%. გადასახადების 2020 წლის საპროგნოზო მოცულობა 5763,2 ათასი ლარით განისაზღვრა. 10 დეკემბრის მდგომარეობით მიღებულია 6988,0 ათასი ლარი წლიური გეგმის 97.9%. გრანტების 2020 წლის გეგმა 9161.2 ათასი ლარით განისაზღვრა, მუნიციპალიტეტს ფაქტობრივად მიღებული აქვს 8431.7 ათასი ლარი, წლიური გეგმის 92.0%. სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 391.8 ათასი ლარით, მობილიზებულია 392,0 ათასი ლარი, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 100,0%. არაფინანსური

აქტივების კლების მუხლით მიღებულია 104,0 ათასი ლარი, წლიური გეგმის 100,0 ათასი ლარის 104,0%.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის წლიური გეგმა 16740,3 ათას ლარს შეადგენს. 10 დეკემბრის მდგომარეობით გაწეული საკასო ხარჯი 14585,8 ათასი ლარია, რაც წლიურად დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 87,1%-ია.

არსებული ტენდენციის გათვალისწინებით, ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში შესრულდება გადაჭარბებით, ხარჯვით ნაწილში შესრულება მოსალოდნელია 92-93% პროცენტის ფარგლებში.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიგა ბუაძემ წარმოადგინა ინფორმაცია ვანის მუნიციპალიტეტში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების შესახებ.

მომხსენებელმა ისაუბრა „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მუშაობის შესახებ. ძირითადი ყურადღება გაამახვილა ისაუბრა კორონა ვირუსთან დაკავშირებით. 9 დეკემბრის მდგომარეობით სულ რეგისტრირებულია 591 დადსტურებული შემთხვევა. გამოჯანმრთელდა 368, გარდაიცვალა 5. თვითიზოლაციაში იმყოფება 671 პირი.

მომხსენებელმა ასევე გაამახვილა ყურადღება კედევ ერთ საკითხზე: კარგი იქნება თუ სკოლებში გადაიდება სწავლა საშობაო არდადეგებამდე, ამით შევამცირებთ კორონა ვირუსის გავრცელების შემთხვევებს. დეპუტატების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა და დაეთანხმნენ მომხსენებლის წინადადებას.

„სხვადასხვაში“ სიტყვა ითხოვა დეპუტატმა შალვა ლორთქიფანიძემ:

მან ყურადღება გაამახვილა პურის ფასის ზრდასთან დაკავშირებით და შემოვიდა წინადადებით, რომ რომ საკრებულომ მიმართოს შესაბამის უწყებებს პურის ფასის თვითნებურ მომატებასთან დაკავშირებით. ეს ინიციატივა მხარდაჭერილ იქნა დამსწრეთა სრული უმრავლესობით.

საკითხის განხილვის შემდეგ საკრებულოს მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

